ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 352

"1" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ. თბილისში, კაპანაძის ქუჩა №3-ის მიმდებარედ არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.04.020.027) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით სს „სილქნეტისათვის" (ს/კ: 204566978) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, კაპანაძის ქუჩა №3-ის მიმდებარედ არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.04.020.027) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით სს „სილქნეტისათვის" (ს/კ:№204566978) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 12 ოქტომბრის №39.18.851 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კაპანაძის ქუჩა №3-ის მიმდებარედ არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.04.020.027) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სილქნეტისათვის" (ს/კ:204566978) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2 წლით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი